



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 596
29/03/2018

ქალაქი ბათუმი

596-05-4-201803291246



ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერისა და ზურაბ კაჭახმაძის - მერიის მძღოლის ქ. თბილისში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 20 მარტის №4583/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი და ზურაბ კაჭახმაძე - მერიის მძღოლი, მივლინებული ვართ ქ. თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეინ“-ში საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაგეგმილ საინფორმაციო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 30 მარტიდან 01 აპრილის ჩათვლით.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა ჰუნდაი ტუქსონი სახელმწიფო ნომრით LLZ-344 და გამოიყოს 120 ლიტრი საწვავი.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - საფინანსო-საბიუჯეტო (ტ. ნაკაშიძე) და ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების (მ. კვირიტიძე) სამსახურებს, უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა